მცველი უტევს კარს

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 25 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი (სტალინო) – 3:1 (1:0).

“დინამო” – კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, დავარაშვილი, ა. კოტრიკაძე, კილაძე, ხასაია, ჭკუასელი, ზაზროშვილი, ბარქაია (მესხი), ქვლივიძე.

“შახტიორი” – ჩანოვი, მოტინი, კრივენკო, ალიაბიევი, სოკოლოვი (ლივენცევი), სამოილოვი, ბობოშკო, დუბოვიცკი, ფედოსოვი, საფრონოვი, პონომარენკო.

მსაჯი: ლ. სარქისოვი (ბაქო).

“შახტიორს” მარცხენა ფრთაზე ჰყავს მეტად სწრაფი, ენერგიული ფორვარდი პონომარენკო. გუნდი ხშირად იყენებს მის ამ თვისებებს და თავდამსხმელები თავიანთ კომბინაციებს ხშირად ამთავრებენ დაბალი გრძელი გადაცემით მარცხენა ფლანგზე იმ ანგარიშით, რომ პონომარენკომ გაასწროს მცველებს და ბურთი მიიღოს მოწინააღმდეგისათვის სახიფათო ზონაში. ასეთი გარღვევა სტუმრებმა რამდენიმეჯერ განახორციელეს თამაშის დასაწყისში და, უნდა ითქვას, საკმაოდ ეფექტურადაც – ელოშვილს მთელი თავისი უნარი დასჭირდა, რათა კარი ეხსნა სწრაფმავალი გარემარბის იერიშებისაგან.

სტალინოელთა იერიშები მარცხენა ფლანგიდან დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ მალე მოძებნეს შეტევის უკეთესი ვარიანტი და “აქილევსის ქუსლი” აღმოაჩინეს დინამოელთა დაცვაში: დავარაშვილმა რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა როგორც ინდივიდუალურ ბრძოლაში, ისე ურთიერთდაზღვევისას “შახტიორის” თავდამსხმელთა მიერ ადგილების ცვლის დროს. ამიტომ სტუმრებმა შეტევის გენერალურ პუნქტად მარჯვენა ფლანგი აირჩიეს.

მატჩის დაწყებიდან გავიდა 10, 15, 20 წუთი და ტერიტორიული უპირატესობა მაინც მტკიცედ ეპყრა ხელთ “შახტიორს”. არც ერთი მოთამაშე “დინამოს” თავდასხმიდან არ ცდილა გამოეჩინა ინიციატივა, აეწყო თამაში და თუნდაც მცირე ხნით გაეჩერებინა ბურთი თავიანთ სამოქმედო ზონაში, რათა დაცვას მოესწრო სათანადო გადაჯგუფებანი კარის მისადგომებთან, აეყვანათ მოთამაშეები, განეტვირთათ საჯარიმო მოედანი. მეტად დაბალ ტემპში თამაშობდა თავდასხმის სამეული, მეტწილად უმოქმედოდ იდგა ხასაია. ელემენტარულ შეცდომებს უშვებდა ქვლივიძე, ნახევარმცველების – კოტრიკაძისა და განსაკუთრებით კილაძის აქტიურ ცდას – მეტი სიცხოველე შეეტანათ თავდამსხმელთა თამაშში, შედეგი არ მოჰქონდა.

პირველი ნამდვილი შეტევა “დინამოს” თავდამსხმელებს მხოლოდ 30–ე წუთზე ჰქონდათ. კოტრიკაძე სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანში და მცველებმა პირით ხაზს იქით მოგერიებით უშველეს თავს. ამას მოჰყვა ჭკუასელის ორი ტექნიკურად რთული გარღვევა. მეორე გარღვევის დროს მან ზაზროშვილს გადააწოდა ბურთი, მაგრამ დინამოელთა ცენტრალურ თავდამსხმელთან ბრძოლაში კრივენკო ხელით შეეხო ბურთს, რაც დაუყოვნებლივ იქნა დაფიქსირებული მსაჯის მიერ. 11–მეტრიანი საჯარიმო ხასაიამ კარის მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა მაშინ, როცა ჩანოვი მოპირდაპირე მხარეს გადახტა მის ასაღებად – 1:0.

ეს გოლი თითქოს სიგნალი იყო “დინამოს” თავდამსხმელთათვის. მაშინვე იმატა ტემპმა, მოთამაშეები გაიშალნენ მინდორზე, ბურთი სწრაფად, შეუფერხებლად მოძრაობდა მათ შორის და თამაშმა სტუმართა კართან გადაინაცვლა. ტაიმის დასასრულს ჭკუასელი დრიბლინგით გავიდა წინ, თავზე გადაუგდო ბურთი ჯერ სამოილოვს, მერე ჩანოვს, მაგრამ საბოლოოდ იგი სულ მცირედ აცდა კარს.

შესვენების შემდეგ დინამოელები შესანიშნავად თამაშობდნენ. ასეთი შემადგენლობით (მინდორზე არ იყვნენ ღოღობერიძე, ხოჭოლავა, გაგნიძე, იამანიძე, რამიშვილი) მათ შეძლეს აბსოლუტური უპირატესობის მოპოვება.

მე–20 წუთზე ჭკუასელი სამ მოწინააღმდეგეს შორის აღმოჩნდა, მაგრამ მაინც შეძლო დაერტყა კარში და ჩანოვი იძულებული იყო მეორე ბურთი გამოეტანა კარიდან.

აღნიშნულ თამაშში დინამოელებმა რამდენიმეჯერ გაითამაშეს კუთხური საჯარიმო, ელოშვილის შეყვანით კარის სიახლოვეს და თითქმის ყოველ ასეთ შემთხვევაში სტუმართა კარი საფრთხის წინაშე იდგა. 32–ე წუთზე ასეთივე კომბინაცია იქნა გათამაშებული, მაგრამ სულ სხვა ვარიანტში: “შახტიორის” კართან დანიშნული იქნა ჯარიმა. სტალინოელთა მცველები ბურთის გარშემო მყოფ მოთამაშეებს ყარაულობდნენ, ხოლო ზაზროშვილმა ამ არეულობაში შეამჩნია ღიად დარჩენილი ადგილი მარჯვენა

ფრთაზე. ბურთი გადასცა ელოშვილს, რომელიც შეიჭრა კარის სიახლოვეს და ყუმბარისებური დარტყმით გაგზავნა ბურთი ბადეში – 3:0. ეს იყო მეტად ლამაზი, მახვილგონივრული კომბინაცია!

"შახტიორმა" 38–ე წუთზე შეძლო თავი დაეღწია "მშრალი" ანგარიშისათვის. დინამოელთა ერთ–ერთი იერიშისას ბურთი შორიდან მიიღო საფრონოვმა, გაუსწრო მცველებს და გაქვითა ერთი გოლი.

თბილისის "დინამომ" პირველი წრის უკანასკნელი მატჩი მოიგო ანგარიშით 3:1.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა შედგა 24 მაისს. იგი დამთავრდა ფრედ – 1:1.

რ. ქორიძე.
"ლელო", 26 მაისი, 1957 წ.